



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 14
07/07/2016

14-06-4-201607071540



დადგენილება №14

6 ივლისი 2016 წ.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/01/2016/ წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016250) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

შემცირდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა , სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 03 04 – 2.2.10.14) – 17 700 ლარით;

შემცირდეს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) 320 455 ლარით საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისი #980 განკარგულებით შევიდეს ცვლილება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებაში. შემცირდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი 320 455 ლარით. მათ შორის:

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა - 320 455 ლარი;

შესაბამისად შემცირდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

ა) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.1.1.5.) – 320 455 ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს:


ბ) წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია, სუბსიდიების ნაწილში
(ორგანიზაციული კოდი 03 02 06 -2.5.) – 17 700 ლარით;

სულ შემცირდეს 320 455 ლარით

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო